საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არხილოსკალო

არხილოსკალო, სოფელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში (კახეთის რეგიონი), შირაქის ვაკეზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 700 მ, დედოფლისწყაროდან 35 კმ, თბილისიდან 160 კმ. 980 მცხ. (2014).

ა. კლიმ. კურორტია, ჰავა – ზომიერად მშრალი სუბტროპიკული, იცის ზომიერად ცივი, უთოვლო ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა – 1,50C), მშრალი და ცხელი ზაფხული (აგვ. საშ. ტემპ-რა 23°C). მზის ნათების ხანგრძლივობა 2300 სთ წელიწადში, ნალექების წლ. ჯამი 540 მმ. **ა**-ს ცხელ და მშრალ ჰავას წარმატებით იყენებენ შარდსასქესო სისტემის დაავადებების (ნეფრიტი, პიელონეფრიტი, ცისტიტი) სამკურნალოდ.

გ. უშვერიძე